

დღეს უცხოეთში



— წითელი დროშა ან მოგვწონს, თორემ წითელი ქუჩა—ჩვენთვის მისაღებია.

რედაქციის „პირთხები“

სევა კალმაძე დაწინაურებული მუშკორია. ამჟამად ის ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში მუშაობს და განაგებს „მუშათა ცხოვრების“ განყოფილებას.

რედაქციის თანამშრომელთა ერთ ნაწილს კალმაძე ათვალისწინებული ჰყავს:

- ალბათ რედაქტორობას მოეწონება.
- ჩვენს დროში ყველაფერი შეიძლება.
- მუშკორია, ნუ ეხუმრები...
- გველივით სისინებენ ისინი.

არაგინ მოელოდა (თვით რედაქტორიც კი) რომ სევა კალმაძე, რომელმაც მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში შესძლო თავის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია რედაქციაში მუშაობისათვის გამოდგებოდა. მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა.

კალმაძე ჩინებულად ასრულებს მასზე დაკისრებულ სამუშაოს და მასთან ერთად სხვადასხვა საკითხებზე წერილებსაც ათავსებს გაზეთში. განსაკუთრებით მისი პატარა ფელეტონები მკითხველთა ყურადღებას იპყრობს.

— ნეტავ როდის, ან სად შეიძინა ამ კაცმა ამდენი ცოდნა? — განცვიფრებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს მისი ნაცნობები.

ქარხნის მუშები, რომელთაც ის ორი ათეული წლის განმავლობაში მუშაობდა, აღტაცებით კითხულობენ მის ნაწერებს.

რედაქციის თანამშრომლები კი, რომლებიც ვერ იტანდნენ კალმაძის „გულზე სკდებოდნენ“ და მის წინააღმდეგ ჭორებსაც კი თხზავდნენ, თითქოს მისი ფელეტონები რედაქტორის ყოფილიყოს და არა მისი.

— ვილაც რაღაცებს უჯღაბნის და მას კი თავი უჭრნალისტად მოაქვს...

- ვილაც კი არა რედაქტორი სჩადის ამას...
- არ უნდათ დაწინაურებულ მუშკორს სირცხვილი აკამონ... ამბობდნენ ისინი.

კალმაძე გრძობდა თანამშრომელთა მისდამი ასეთ დამოკიდებულებას, მან ზემოხსენებულ ჭორსაც ყური მოჰკრა და ველარ მოითმინა:

- მაშ, თუ ასეა, კარგი!
- და მან ვადასწყვიტა თავის დაცვა.
- ამხანაგებო! — მიმართა რედაქტორმა სარედაქციო ცოლეგის წევრებს და უახლოეს თანამშრომლებს, — ხვა-

ლინდელ სამაისო ნომრის მასალები თითქმის საქაოდ გვაქვს, მხოლოდ ამხ. კალმაძეს არაფერი მოუტანია.

— აჰა, შემოაკლდა?... ალბათ თვითონ დაუწერს... გადაულაპარაკეს ერთმანეთს თანამშრომლებმა.

— ამხანაგებო, — განაგრძო რედაქტორმა, — ერთი საინტერესო მასალა მივიღე, რომელსაც ხელს აწეოს ვინმე „ლახვარი“, დაწერილია ფელეტონის სახით, — ავტორს ეტყობა ნიჭი, ვფიქრობ გაუშვა ხვალინდელ ნომერში...

— წაიკითხე, წაიკითხე!.. გაისმა ხმები. რედაქტორმა ფელეტონი წაიკითხა, რომელშიაც ავტორს გამოყვანილი ყავდა ისეთივე დამოკიდებულება რედაქციის თანამშრომელთა და დაწინაურებულ მუშკორთა შორის, როგორც იყო ხსენებულ რედაქციის თანამშრომლების კალმაძის მიმართ.

საინტერესოა, უნდა დაგებქლოთ! — იმეორებდა რედაქტორი.

- რას იტყვით თქვენ? შეეკითხა ის იქ მყოფთ.
- არც ისეთია, რომ დაიბეჭდოს... სთქვა ერთმა.
- მისაღებია! სთქვა მეორემ.
- ავტორი უცნობია. არ შეიძლება მისი დაბეჭდვა!

სთქვა მესამემ.

— ამხანაგებო, ფელეტონი ენება აქტუალურ საგანს, რა დასამალავია, რომ რედაქციებში მოკალათებული არიან ისეთი პირებიც, რომელთა განწმენდა საჭიროა და აუცილებელი. ფელეტონი ამ საკითხს ეხება. ამიტომ ეს მასალა უსათუოდ უნდა დაგებქლოთ!.. სთქვა რედაქტორმა.

- შეუძლებელია დაბეჭდვა, სანამ ავტორის ვინაობა არ იქნება გამორკვეული... გაისმა ხმები.
- ავტორი აქ არის! წამოიძახა კალმაძემ.
- სად, არის სად? ერთხმად შეეკითხნენ მას.
- ავტორი მე ვარ! სთქვა მან. ეს სიტყვები ლახვარით მოხვდათ იმათ, რომლებიც კალმაძის წინააღმდეგ ჭორებს ავრცელებდნენ.
- რედაქტორს სახე გაუბრწყინდა...
- რედაქციის თანამშრომლებს „ენა მუკილში“ ჩაუვარდათ.

მეორე დღეს საპირველმაისო ნომერში, „რედაქციის ვირთხები“-ს სათაურით დაიბეჭდა ზემოხსენებული ფელეტონი, რომლის ავტორი სევა კალმაძე იყო.


ჟუმბარა.

ჩვენს რეცეპტი თვითეულმა მწერალმა უნდა გაიაროს



ეს სკოლა

და



ეს სახელმძღვანელოები

საკირველმანსო შესაკურთხავი

რომის პავს

საბჭოთა კავშირის
ომით უბღვერი:
აცხოვ „ბულღებს“ თუ
„ინდულგენციებს“,
მაგრამ დღეს, ალბათ,
შიშით ლოგინში
შეიგულელები
და შეგაცივებს,
როცა იხილავ:
მზად—მებრძოლ მშრომელა
და წინც—მოსალოდნ
გაწამაწიებს!

ღებარდინს

პარიზის ქუჩებს
თუ ზომავს დინჯათ
ან ბერლინისას
სტკეპნის დეტერდინგი,
კისერში უჭერს
მას „ბალის ქერქი“
და დააქვს ნავით
მოსვრილი დინგი;
საბჭოთა კავშირის
ისიც უბღვერის,
საშიში არის,

ტარდინს:

ძლიერი თვისი
პოლისმენებით,
ფრანკთა ქვეყანას
ის მართავს რისხვით,
ცნობილი არის
მაგარი შუბლით
და კომბინოვან
ბნელ საქმის რიცხვით,
ვაჰ, თუ აჩრდილი
დიდის კომუნის
თავს წარმოადგეს
უფროად ციხვით!..

ჩემბერლენს

გულში ამ შიშით
მეც გავრბი მუნით,
რომ გადაფეონო
მყის პა-დე-კალე,
იქ ჩემბერლენიც
მოცინახულო,
შუბლი - მაგარი
და გული - მყრალი,
ღმერთო, მაშორე
მის ულტიმატუმს!
წმინდაო „მაკო“,
ოჰ, შემბრალებ!..

გერმანიის ს.-დ.-ის

არ დამაფიწყოთ,
გთხოვთ, ზევერინგი
და იქვე—სისხლით
გასვრილი ნოსკე,
ღმერთო შეგცოდე,
უმადური ვარ,
რომ მიუღერის
მთავრობა მოსკე.
აღსდევ „დოიტშე
პროლეტარი შენ“,
და მათ კლზებზე
მოსცხე და მოსცხე!..

პოლონეთის „პოლოკონი-კეზს“.


თუ მოცხებაზე
საქმე წავიდა,
რათ დავიფიწყო
სლავეკი უნდა?
არის პილსუდსკის
მცირე გომია,
ბედის ჩარხი რომ
შემოუბრუნდა;
ჯანღ-დაკარგულ ზღვაზე
ცურვას აპირებს,
თუ ხომალდი არ
გადაუბრუნდა!..

მსოფლიო პროლეტარიატს

დასასრულ მინდა
მთელს წითელ ლაშქარს,
მსოფლიო მებრძოლ
პროლეტარიატს,
წინ მივეგებო
და მივესალმო
მის წითელ დროშას
მაგარ - ტარიანს;
მტკიცე რიგებით
მტკიცე რიგებით
წავა, ვით ლავა,
და ახალ მიზნებს
ის წინ გაიტანს!..

მაზირა.

ბელოვენების სასახლე



განუწყვეტელ „სამუშაო“ კვი-
რაში.

პ რ ი ტ ი კ ა 3

— ზრასტი შენ, პაპიროსა ხომ არ
გაქვს, დარდიან გულზე ვარ!—ასეთი
იყო ჩემი ნაცნობი პოეტის პირველი
სალამი. პაპიროსი მივეცი.

— რა გაქვს სადარდო? სახელგამი-
დან მიღებული ჰონორარუს შესანახი
ადგილი ვერ იპოვე თუ?

— არა, ჰონორარი შეეჭამე წინდა-
წინ...

— მაშ ფული არ გაქვს და იმი-
ტომი...

— არა, ფული უკვე ავიღე ავანსად.

— აბა რაღა გადარდებს, შე კაცო?
— სადარდელის მეტი რა მაქვს!
არა, ერთი მითხარი, მე მწერალი ვარ
თუ მიჩემე?

თუ შენი ლექსების მიხედვით ვიმს-
ჯელებთ, შეიძლება კაცმა იფიქროს,
რომ მეჩემე ხარ, ან მეთორხე—“გა-
ვიფიქრე გულში, მაგრამ ხმა მალლა
გუპასუხე:

— რა უცნაური კითხვაა, ცხადია—
მწერალი ხარ.

— მერე და, რატომ არავინ სწერს
ჩემს შესახებ? დაწერე პოემა—კაცმა
კრიტიკა არ დამიწერა, დაგებტდე
მოთხრობა — დუმილით მოპასუხეს,
გამოვეცი ლექსების კრებული — არა
ვითარი გამოძახილი, დაგებტდე ესკი-
ზები—სრული სიჩუმე. კაცი არ მა-
კრიტიკებს, ეშმაკმა იცის რას ვწერ,
როგორ უყურებს მას საზოგადოება.
კაცო კრიტიკა არ არის; კრიტიკა, ეს
ბენიტო ბუაჩიძე ქვეყანას ვერ გასწვ-
დება და სხვა არავინ იწუხებს თავს!
გავეთავდი კაცი უკრიტიკოთ... არა,
ერთი მითხარი რათ უნდა ვიყო მე
კრიტიკის გარეშე? ამისხენი, შენ გეუ-
ბნები: ჩემი ნაწერები კრიტიკის დაბ-
ლა დგას თუ მალლა, რომ კაცი ყურს
არ აპარტყუნებს ჩემთვის? აჰ? მი-
თხარი!..

„უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველ-
გვარი კრიტიკის დაბლა“ — მინდოდა
მეპასუხნა, მაგრამ თავზიანობამ და-
მძლია და განუტყადე, რომ ალბათ
კრიტიკის მალლაა, თორემ ვინმეს
რაიმე კი წამოცდებოდა.

აღლარ.

„ტარტაროზი“-ს
შემდეგი
ნომერი
გამოვა
11 მაისს



მე გახლავართ თანამგზავრი მწერალი, ანუ პაპუტჩიკი.

არაან ისეთებიც, რომელთაც არ იციან თანამგზავრობის მნიშვნელობა. აქ საქმის არაფერია. განვმარტოთ: თანამგზავრობა წარმოსდგება სიტყვა მგზავრობისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი კი სიტყვა გზისაგან. გზა, როგორც მოგეხსენებათ, შეიძლება იყოს რკინის, საჰაერო, საზღვაო, უბრალო გზატკეცილი, საურმე და ბილიკი. მაგალითად, თუ თქვენ მუშაობთ მიიხაროთ და მეც თან მოგყვებით, მე ვიქნები თქვენი თანამგზავრი.

ასეა მწერლობაშიაც. ჩვენ, თანამგზავრი პოეტ-მწერლები, უმთავრესად არაფერს არ ვწერთ, მაგრამ ხალხში მაინც ვაღდებთ ხმას, რომ თანამგზავრები ვართ. პირადათ მე დაწერილი მაქვს ერთი ლექსა ზაჰესზე და ერთსაც დაწვრი რიონზე, რომელი იგი დაიწყებს მუშაობას. საერთოდ, საქართველოში მწერლისთვის წერა არ არის სავალდებულო: ბევრია ისეთი, რომელიც არაფერს სწერს (ჩვენს შორის იყოს, რომც მოინდომოს, არაფერი გამოუვა), მაგრამ მწერლის სახელს ატარებს და მწერალთა ფედერაციაშიაც ირიცხება. ისეთებიც არიან, რომელთაც ათიოდე წელია, არაფერი დაუწერიათ (ამაში არ შედის მოკითხვის წერილება).

დიად, როგორც მოგახსენეთ, მე ვარ თანამგზავრი და ასე მიცნობენ კიდეც. ჩემი ლექსი ზაჰესის შესახებ, დაიბეჭდა კიდეც (ისე ჰონორარი იქნებ ვერც მიმეღო!) და ხალხი აღფრთოვანებული დარჩა.

უმთავრესად, ჩვენ, თანამგზავრები, გაჩუმებული ვართ, თუმცა თითო-ორი ისეთი გვირეცია, რომელიც საერთო წესს არღვევს და პროლეტ-მწერლების ფეხის ხმას მისდევს.

თანამგზავრობა არ უარყოფს რევოლუციონერობას და მართლაც, მრავალი ჩვენგანი დადებითად უყურებს რევოლუციებს საერთოდ. წერით, მართალია ვერ ვწერთ პროლეტრევოლუციასზე, მაგრამ ჩვენ რომ ვწერთ, პროლეტმწერლებისათვის ადგილი აღარ დარჩება და ამხანაგური გრძობა გვიკარნახებს ვაჩუმდეთ.

მართალია, ამ სიჩუმეს პროლეტმწერლები სხეულობით ხსნიან, მაგრამ რა უყოთ, ჩვენ თანამგზავრები ვართ და ჩვენი ხელობა დუმლია.

ისე კი, ჩვენ საბჭოთა პლატფორმაზე ვდგეიართ და სათანადო დიკტარატივის შედგინას არასოდეს არ დაგიზარებთ, ოღონდ შედით ჩვენს მდგომარეობაში და მხატვრული ლიტერატურის შექმნის შესახებ ნურაფერს დაგვავალებთ.

თანამგზავრული სალაამთ: ტერსიტი.

სახუთმაისო

დღეს ხუთი მაისია—
გული შევებით ივსება.
მწერლობის აისია—
ჩნდება მისი ღირსება;
დღეს აქ მწერალთა პარადს
ჩაუვლის „ტარტაროზი“.
ვინც არ ივარგებს არსად—
აღბად შეუტევს „როზგით“!

დოლი რომ გაუმართავთ
სახელგამის კარებზე...
„უყვართ სიტყვა ქართული“
მხოლოდ ჰონორარებზე!
სახელგამის წინ ბრძოლით
ასე მიდის დღეები,
და იმათი მიწოლით
იზნიქება ხეები...

ტარზან.



მწერლები: ერთად-ერთო ბარონო საბჭოთა კავშირში, მოგვცით ჰონორარები!.. მოგვცით ავანსი..

ახს. ბარონი: — მოითმინეთ თქვენი ზირივე! ბეჭდვითი სიტყვის სასახლე უნდა ავაგო და შემიღებ...

ინგლისი ინფანტერი



ინგლისელი: — თეთრ კბილებს მიჩვენებს, სამაგიეროდ გული შავი ექნება... ვერ მომატყუილებს, უნდა ვსცემო! (სცემს).

„რუსთაველიანა“

ჩვენმა დიდი ხნის გამოკვლევამ ძირიან - ფესვიანად ვადმოაყირავა მებნელებსა რუსთაველზე.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ შოთა რუსთაველი იყო გურული.

ამის დასამტკიცებლად საჭიროა მოვიყვანოთ რამდენიმე ამონაწერი „ვეფხისტყაოსანი“-დან.

ყრმა ვენახა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეხოცა.

ლაპარაკში „რომე“-ს მხოლოდ გურულები ხმარობენ. სიტყვა „რომე“ ბევრ ალავას არის ნახმარი და ყოველთვის „რომ“-ის მაგიერ „რომე“ სწერია:

ვიცი, რომე განუწყვეტლად თვალთა დაწვი გისეტყვია.

ესლა შეგებოთ სხვა გამოთქმებსაც: ქალო, არ იცი სიმი მოვალ, რა ჰირი მომითმენია.

ოღიღბან ვიქვამ ამაგასა, ესე არვისგან მსმენია.

აქ წმინდა გურული ჟარგონია და ისიც კუთხური. (ოდა ხომ გურულეზის საბატო საცხოვრებელი სახლია).

ქვემოთ:

აწ ასმათი მოგასხენებს შველასასა ჩემგან თქმულსა. „ვევლაკასა“ მხოლოდ გურულები

ტყვიან და ისიც უბრალო ხალხში. მინდა შველანი მასშია, რაცა შენ გარდაგხდომია.

მეფეო კარგი შველანი მე თქვენგან წამიდებია. „ვევლაი“ დამახინჯებული გურული გამოთქმაა. ავიღოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი:

„მირამ მოდი. ლომო მზესა შეგეყრები, შემეყარე. მართალია, „მეომე“-ს სხვებიც ხმარობენ, მაგრამ ყველაზე უფრო — გურულები.

იქვე რამდენიმე ტაების შემდეგ: **ვარდი ჩემი არ დასკვნების, შუქი შენი იმვსად ა.**

„იფვად“-ს მხოლოდ გურული გლები იტყვის. (უნდა იყოს ლიტერატურულად „იფად“).

რაც შეეხება ევგენი დვალის მტკიცებას, რომ შოთა რაჭველია, ეს შეცდომაა, რადგან შოთა გურული იყო და, მაშასადამე, რაჭველი ვერ იქნებოდა.

მაგრამ პატივცემული მკვლევარი ევგენი დვალი რომ დავაქმყოფილოთ. ჩვენ განვიხილავთ შოთას ზოგიერთ რაჭველ გამოთქმებს:

რა ისარნი დაეღვივის მონანი შმ მოართმიდეს.

არის კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ რაჭველი გამოთქმა:

ავთანდილ ძმე ჰვის ტირილად, აღარას მოუბარია.

ან და ასეთი: **მკურნალნი და დასტაქარნი წამალსა-შმ მოგიტანდეს.**

მაგრამ რამდენიმე ასეთი რაჭველი გამოთქმა არ ქმარა იმის დასამტკიცებლად, რომ შოთა რაჭველი იყო.

დასასრულ ერთ ადვილს, რომელსაც ეს ეხლა, ამ წუთში წავაწყდი, კიდევ მოვიყვან:

მე უხუცესმან უმცროსსა ვაცი დავთხოვე ძმ ნებით.

სიტყვა „ქმ“ იხმარება მხოლოდ გურულების გამოთქმაში. ეს წმინდა გურული სიტყვაა. ამის შემდეგ, ჩვენის აზრით, აღარავის ეჭვი არ შეეპარება შოთა რუსთაველის გურულობაში.

ხოლო, თუ მაინც დამაინც შეტეპარება, ასეთი „ურწმუნო თომების“ მოსარჯულობილად, ჩვენ შემდეგს დავუმატებთ შოთას გვარისა თუ ფსევდონიმის შესახებ.

„რუსთაველი“ წარმოსდგა „რუდა, „თავი“-სგან.

რუსთაველს... რუსთავს არაფერი აქვს საერთო „რუსის თავსთან“ როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, თითქმის მგოსნის ფსევდონიმს რაღაც ნათესაობა უნდა ჰქონდესო თამარის პირველი ქმრის გიორგი რუსის თავსთანო... თითქოსო მგოსანმა სიძე-შეფის პატივსაცემად დაარქვა ასეთი გვარიო.

როგორც ზემოდ ვსთქვით, აგოსნის ფსევდონიმი (თუ ნამდვილი გვარი) წარმოსდგება „რუ“-სა და „თავი“-სგან.

რუ—ნაკადულია, მდინარე. თავი—თავია, დასაწყისი, სათავე.

გურიაში იცოდენ ასეთი სახელები რუს-თავი, ე. ი. რუს დასაწყისი, სათავე. გურიაში ესლაც არის, მაგალითად, ხიდის-თავი... ერის-თავი... და ჩვენც გვგონია და არც ვცდებით, რომ მგოსნის ფსევდონიმი წარმოსდგება ხსენებულ სიტყვისაგან.

ამგვარად, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ შოთა რუსთაველი გურულია.

მისი ნამდვილი გვარისა და ვინაობის გამოკვლევა ევალება მომავალ ახალ მეცნიერებს.

მე ჩემი ვქენი, მეტი არ შემეძლო.



ბაკაძე:— იოსებგან, შენ მგონი ფულს აგროვებდი ჩემი ძეგლისათვის... ის ფული ხომ არ...

ლევარსი.

პოეტი-ბრეზადელი



იყო შემთხვევა, როცა კოლექტივში გაგზავნილი პოეტი ტყეში ხეტიალს უნდებოდა.

— კაცო, ვილაც პოეტი გამოიუფრტევი, ის უნდა იყოს?
— პოეტი?

პრატურული ნოვატი

პრატურული
ნოვატი

„უილალორმა-
დები“

ილა
კაცი
ანხილო გულში ნადები.



6. ზომლითელი.

უფსა,
კალაშა,
ზანი და კოდორი,
ზე მაქეს
ბული
ები ათი ვოდორი.



6. მიწიზვილი.
(3. საყვარელიძეს)

კაცო ერთი მითხარი,
ვის მოვბარე ვირი მე?
აქ ბენიტო „მიკავეს“,
იქით სუტირინი მე;
ემიგრანტთა ბააქშიც
გავიშავე პირი მე.
რა ვქნა, რა ვქნა, მითხარი
რა ვქნა შენი ქირივე.



ალ. მაზაზვილი.

მე გავასწარი
ბარათაშვილს და
ახალ ეპოქას
დავადგი ფეხი,
ვისაც არ ჯერა
ნათქვამი ჩემი
ო, იმის გოგრას
დაეცა მენი..

ებლა მე თვით ყველას ვაქებ,
არავისი არ მსურს მტრობა,
ფუტურისტიც ვეღარ იტყვის!
— „რობაქიძე არ გვემბრობა“.

**

მართველი პოეტი ქალაქის გუნდი

შევიარადღეთ ქალაქო,
შევიძინოთ ფარი, შუბი,
რადგან ლექსის დაბეჭდვისთვის
ჩვენ გვიხდება მუდამ ჩხუბი.
ვერ უყურებთ მამაკაცებს,
ურჯულოებს თავგასულებს
არვის პატივს აღარ სცემენ,
არც მადამებს, არც ასულებს.

**

რაშდენ გვებამე.

პოეზიაში შევედი
როგორც იესო ვირებით
კვლავ პროზა გამოვაცოცხლე
9 ახალ-ახალ გმირებით

დავბეჭდე თეო და ბოთე
ებლა ვსწერ ჭია-კოკონას
იქ შევერთავ მებრძოლ კომუნარს,
მკერდ ათქვირებულ გოგონას.

**



კონსტ. გამსახურდი
ვისაც რა უნდა უყვარდეს
სულ სხვაა ჩემი ტრფიალი:
მიყვარს ძალი და მიმინო,
და ჩოხის კალთის ფრიალი.
ვამაყობ ჩემი წიგნებით
ვანსაკუთრებით „ტაბუ“-თი,
ზაპესზე ოდა დავსწერე,
მითხრეს: „არ კმარა საბუთი“.



სანდრო მულა.

ამბობენ:
როლეტმწერლობის
პიონერი ვარ
ქრთაული;—
ვეტავი
როდის გამოვა
ჩემ ლექსთა
სრული კრებული?



თიზოლ რობაქიძე

ჩემი გველს პერანგით
შევსაეღ კვეციხის აფეთქება,
დღეს მსოფლიო სახელი მაქვს
რალათ მინდა თქვენი ქება.



ლორიათ ნუ გეგულვებით,
გმოგზაურობ და ვეჭვიფობ
ახალ სცენარის ფულებით.
აჭარა შემოვიარე
ოდიში და აფხაზეთი
ვინც მე პატივი მცა ვაქე,
ერთმა კაცმა რა ვქნა მეტი.



ყველა მოლოქაეს მოუწინა
დასწეროს გძელი მოთხრობა.
ქურნალები აღარ ჰყოფნიან,
ყველამ წაიგროვლა ენა,
მითხარით, საღდა დავბეჭდო
მე მარბღელი არსენა.



გალ. ტაბიძე

გერაცია, წერილს გწერ
აქტიონ პირადთ მე,
რაფრად არ ვარჯიხარ
ყეობა თუ რ დათმე
ა გვინდა ჩვენ მწერლობა
ყინვალე და ჩინებული
ლი დასთე ახლისათვის,
ზარ გადაჯინებული.
ნო დამისხი,
ისხი ღვინო,
ფდეს სული, როგორც რიონი;
გოტოც ერთია
ანა მთელი
ერთი ვარ ვალაქტიონი.



გრიშაზვილი

რა კარგია მოციგლივე,
კობტა ქალის მოკლე კაბა.
ნეტავ მასში ჩამაქსოვა,
ნეტავ მასზე ვადამაბა.
ჩემი სული აზიზია,
ქალის ეშხით ატლასული,
„ოქროს ფეხის“ დავიწყებას
ვერ აიტანს ჩემი სული.

პ. სამსონიძე.

ორი წლის წინათ დავსწერე
ერთი ქართული პიესა
რეჟისორებმა აწამეს,
გასწიეს, გამოსწიესა.
მოვხუცდი კაცი, ვაყვანი,
თმებში გამიჩნდა ქალარა,
მაგრამ მის დადმას სცენაზე
აღარ მოვესწარ აღარა.



პ. იაზვილი.

სოფელს არგვეთში,
მ/კატის კნუტი
ბოლოვე
მა

გოღეგა

და მისი წმინდა ვალია;
რა დროს არქივში პრომაა,
რა დროს ლამაზი ქალია,
სიონისაკენ ისწრაფეთ,
გწყალობდეთ კვირაძალია...

ლ. მაზაზვიანი:

ნეტავი რასა ტუტუცობ,
რას მარგებს შენი ხატები,
სიონში ლოცვას მიჩვენის
დახლზე მელაგოს კვარტები,
წავალ და სამიკიტროში
ძმაბიჭებს მივემატები,
შენ კი, შენი ხის ხანჯლებით,
შევიარაღე კატები!...

ბ. შუნიშვილი:

სად ყოფილხართ,
რა გინახავთ,
გ. ტაბიძე
არ გინახავთ?
ყველანი
როგორ არა:
რუსთაველზე
მიდიოდა
მალზე-მალი,
ვერხვისავეთ
შრიალბდა,
ეტყობოდა
იყო მთვრალი!
გ. ქუჩიშვილი
(ცილსა სწამებთ:
მე და იმან
ბოჩკების წინ
დავდეთ ფიცი,
რომ ალკოგოლს
შეგებრძოლოთ
სეფიზლით და
ძმურ სიმტკიცით!

ყველანი
პა-პა-პა-პა,
პალე ვნახავთ,
რომ ორივეს

დაგერღვით
ფიცი, ვალი
და ერთმანეთს
ვერ არჩევდეთ,
ისე მაგრა
იყოთ მთვრალი.

გალ. ტაბიძე:

(ლორიათ გამოჩნდება)
გზა მომეციეთ,
ჩამოდექით,
რას განვაშებთ,
რასა ჰყეფავთ!
სხვის ბაღარში
რას დაძვრებით
ყვავილების
დასაკრეფათ?
ნუ თუ არ მცნობთ
ვალაქტიონს
პოეტების
კაროლ-მეფად?
ყველანი
ენა, ვაშა,
გაუმარჯოს
ჩვენს უდიდეს
მეფე-მგოსანს;
დაფნის ფოთლით
თავს უმკობდეთ,
პოეზიის გვირგვინოსანს!
გალაქტიონ ტაბიძე
(ნერვიულობს)
გ. ქუჩიშვილი
წამო, ძმაო,
მაგ ოხრებთან
რას იცხვლებ
ტვინს და კეფას;
წაო, გავჰყვეთ
ინდუსტრიის
ეპოქალურ
სელას და ჩქეფას.
(ორნივენი ვაღიან).

უჩინარი.

ვიცოდი, რასაც იტყოდა...

გარდაიცვალა პოეტი ცქნაფაძე.

ეს სამწუხარო ამბავი ელვის სისწრაფით მოედვა მთელ საქართველოს.

ხელოვანთა სასახლის დიდ დარბაზში გაიმართა სამგლოვიარო საღამო ცქნაფაძის მოსაგონებლად.

— სიტყვა ამხანაგ ბაქაძეს ეკუთვნის! — გამოაცხადა თავმჯდომარემ.

კათედრაზე გაჩნდა 30—35 წლის კაცი, უღვაწ შეპარსული. მიიმხოს თვალებით. წელში მოხრილი. მის სახეზე გლოვის ნაცვლად მედიდურება იხატებოდა.

— ამხანაგებო! — დაიწყო მან: — მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. დაობლდა ჩვენი მწერლობა!.. აღარ არის პოეტი ცქნაფაძე... მე მას ბავშობიდანვე ვიცნობდი. მას გაგიყვებით მოსწონდა ჩემი ლექსები. ერთხელ მე და ის მოსკოვში გავემგზავრეთ. ქართული კულტურის სახელი ვინახულეთ. მე იქ ბევრი ნაცნობები ვნახე. სხვათა შორის გავიცანი ერთ-ერთი კოოპერატიული გამომცემლობის ხელმძღვანელი, რომელმაც გენიოსურ შემოქმედებათ აღიარა ჩემი ლექსები და საჭიროთ სცნო მისი დაჩქარებით გამოცემა სხვადასხვა ევროპულ ენებზე... ეს იყო მისი უკანასკნელი შეხვედრა ჩემთან... მაშინ მე ერთი რომანი დავამთავრე და ახალი დრამა დავიწყო. ჩემი დრამის პროექტი ამხანაგებს გავაცანი. ყველანი აღტაცებაში მოვიდნენ... მე მას მოკლე ხანში დავამუშავე და გამოვქვეყნე!.. — დაამთავრა ბაქაძემ თავისი „მოგონება“ „პოეტ ცქნაფაძის შესახებ“..

გაისმა ტაში...

აგუგუნდა დარბაზი....

და აღფრთოვანებულ „მგლოვიარე“ ჭირისუფლების ან უკეთ რომ ვთქვათ, აუდიტორიის „ვაშას“ ძახილმა დაფარა მისი უკანასკნელი სიტყვები.

— სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ბუქაძეს! — წარმოსთქვა ისევ თავმჯდომარემ.

— ვაშა! ვაშა! — გაისმა ტაშის ცემა ერთი კუთხიდან, სადაც ბუქაძის ლიტერატურული ჯგოფის წევრები ისხდნენ.

— მე, — პოეტი, მოაზროვნე და ფილოსოფოსი!... მე—კრიტიკოსი და მარმარილოს სიტყვათა გამომღელი არა ერთი და ორი მწერლის შემოქმედებაზე, მე—მოგვი და ჰენიოსი ბუქაძე ვალდებულად ვთვლით თავს გაგაცნოთ ჩემი მოგონება დაუფიქრებლად პოეტ ცქნაფაძის შესახებ. მე მუდამ ტეხილი განცდით ვადევნებდი თვალს პოეტ ცქნაფაძის შემოქმედების განვითარებას. მან მე პირველად უცხოეთში მნახა... შემდეგ ის მე შემხვდა ლენინგრადში... მე ეხლაც მახსოვს მისი ჩემთან შეხვედრა... მე მაშინ ნევის ნაპირზე ვასვენებდი ჩემს აღმოსავლეთის გუზგუზა მზის ელვარებით ანთებულ თვალებს. ჩემი ფიქრები მაშინ ზღვის ქაფის საშოდან გამოსულ იონერას ნაწნაეების გარხევას გავდა... და სუნთქვა ჩემი საბელ ბაგიდან აწყვეტილ ზულასავით ინებიანი...

... მე მაშინ ვიხსენებ ჩემს ნევის... ვალდით ჩემს პირდაპირ ქვაზე... ვსკენილი, ქორფა კუხარკა, როდით ცალი ფეხი წყალში ჩასვენა, არმტაცი იგი, ფეხზე გადაიკვანტილა. წყალში დავინახე სახე ჩემი... და ასნურ გამომხედვას ვნებით აღტყი-

ნებულ ჭაბუკ ვოეთესას და ჩემს სხეულში აჩქეფდა სისხლი, სისხლი ჯადოსნურ ფსიქეას მტენებით დამოვრალი ეროსისა... ასეთი იყო ცქნაფაძის შეხვედრა ჩემთან... — დაამთავრა მან.

— სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ყინწაძეს! — გამოაცხადა ისევ თავმჯდომარემ.

მე დავისურე ქული და გარეთ გამოვედი.

ვიცოდი, რასაც იტყოდა...

მელუზა.

კოტე სახელგამში




კოტე ურცხვერავილი:—ნიკოლო მიწიშვილთან მაქვს საქმე, და სად იქნება, ნეტავი? მიწიშვილი:—აგერ ვარ, კოტე!

სსსსსსსსსს მსსსსსსსსს კოსკოსკოს უფლები

ნახ. გოკუჩავასი, ჭუთაისი

ნახ. ლომიძის, ჭუთაისი



— შეხედე, ქალო, „ზაკტბოც“ მარხულობს! ისე კი გაიძახიან—ღმერთი არა გვწამსო.
— აღბაღ ხორცი არა აქვთ, თორემ...



— კაცო, სად მიდხარ ამ ქვევრებით და ბოჭკებით?
— წყალზე მივდივარ... მეთულუხეებს სეზონი გაუდის წყალსადენის გაყვანის გამო, გამწარებული არიან და წყალი გააძვირეს, ტყავს გვაძრობენ.

ნახ. ლაშინასი, ლანჩხუთი



ლიცო:—ნოქარი სევერიანე დაუპერიათ? აწი ვინ გამოგვატანიებს საქონელს კოლხერატივიდან?
ილიკო:—მაგაზე დარდობ, კაცო?! იმაზე იდარდო, რომ ვირის აბანოში არ გვატუციონ თავი იმ ბავშვის მოტყუებისათვის.

კონკურსი მოწოდებულია მიიღოს ასაგლო ახალგაზრდა მხატვრებმა.

შიურის მიერ ჯილდო მიეცა, თვითაუღს 10 მანეთი, სამ მხატვარს:

1. გოკუჩავა ვლადიმერ, საღ. ჭუთაისი, ელმწიროლი.

2. ლაშინა ვახტანგი, ლანჩხუთი, ლენინის ქ. № 57.

3. ლომიძე გ., ჭუთაისი (მოწაფე).

ჯილდო დღესვე ეგზავნებათ აღნიშნულ მისამართებით.

სხვა მხატვრების მოწოდებული ნახატები დაიბეჭდება „ტარტაროვი“-ს შემდეგ ნომრებში და მხატვრები მიიღებენ ჩვეულებრივ გონორარს.

ჭუთაისის თანამშრომლების საყურადღებოდ

შაბათს, 8 მაისს, ჭუთაისელი თანამშრომლები მიიღებენ ჰონორარს საგაზეთო კონტრაგენტურაში (ბულგარის პირდაპირი) 12—2 საათამდე. იკითხეთ ღონე.



ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენმა „ახალგაზრდა“ მწერლებმა დიდი ნაყოფიერება გამოიჩინეს და სამაგალითო მუშაობა გააჩინეს ლიტერატურულ ფრონტზე. ამ მოკლე ხანში დაიწერა აუარებელი რომანები, პოემები და დრამები. აქ მოვიყვან მხოლოდ, იმ „ახალგაზრდა“ მწერლების ნაწარმოებებს, რომლებიც უკვე დაამთავრეს და იბეჭდება.

ახალგაზრდა რომანისტმა **მიხეილ ჯავახიშვილმა** დასწერა ორი დიდი რომანი „**კაცი, რომელსაც სალამის მიცემა ჰირივით ეჯავრებოდა**“ და „**ახალგაზრდა**“. ორივე რომანი თანამედროვე ყოფა-ცხოვრებას ეხება. ახალგაზრდა მწერალი - დრამატურგმა **ია ეკალაძემ** დასწერა ერთი დიდი დრამა „**ზეითუნის ზეთი**“ და რომანი „**აღების ღამე**“.

მსოფლიო მგოსანმა **გ. ლეონიძემ** დასწერა რომანისტური რაღაცა **ძველი მწერალი ჭიჭიკო კირიტიძე** და მისი **დაწერილი შალვარი**. ახალგაზრდა პოეტმა **ილია ალბაძემ** დასწერა ოთხი რომანი. სათაურებს იგონებს.

„ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ეს ჭეშმარიტებაა. პროლეტარულ მწერლებს, რომ კითხო, პოეტი არ ვარა, რომელიც მითთან არ არის! ჰმ, სისულელეა. პოეტი ის არის, ვინც ცაზე ფრინავს;—სე მსჯელობ და ძველი მწერალი „**კაპუეტი**“.

გათენდებოდა თუ არა, სასაფლაოზე მიდიოდა, იქ აღამებდა და იქიდან მოქონდა ახლად გამომცხვარი ბი; მაგალითად ასეთი:

„მე ვას ვუმღერ
მთვარესა,
მიყვარს სასაფლაო,
ვერვის შემადარესა
გენაცვალე ფლავო“
და სხვ.

წელი წელს ემატებოდა, პროლეტარული მწერლობა დღითი - დღე გაიზარდა. გაიზარდნ მკითხველებიც. კაპუეტი მაინც ჯიუტობდა. — ეგენი რა პოეტები არიან, მუშებს, ფაბრიკებს, ტრაქტორებს უმღერიან, მე კი აი, მშვენიერი ლექსი მოგიტანე ამხანაგო რედაქტორო, მიმართა კაპუეტმა რედაქტორს და ასმეტრიანი ლექსი წაუკითხა:

მთვარეს გავარტყე მაგარი სილა,
ლურჯი ცა თავზე ჩამოვიხურე.
კვირა დღე იყო, ღამაში დილა,—
ბაღში მადონას უჩქმეტდი ყურებს.

— ამხანაგო კაპუეტო, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ გვიანდაც ისეთი ლექსები, რომელიც აღზრდის მუშებს.

კაპუეტმა ლექსი ხელად დაკეცა. — თქვენ არ გაქვთ გრძობა, მე მუშაზე წერას არც კი ვიკადრებ —სიტყვა, ძან და ვაბრაზებული გავიდა გარეთ...

„კინკრისო“—ს წერა და ტფილისში ჩამოფრენისას უკვე დაუმთავრებია. სურათს ამ დღეებში გადაიღებენ.

სამაგალითო ნაშრომი

ახალგაზრდა ისტორიკოს - დრამატურგ — პოეტ — ბელეტრისტ — ჟურნალისტ — კომპოზიტორ — მუსიკორმა იოსებ იმედაშვილმა დაამთავრა თავისი დიდი შრომა: „**ძველი წიგნებით ვაჭრობა საქართველოში** და ქართველ ბუკინისტთა წარმოშობის ისტორია“. ესლა სწორს დიდ დრამას „**გარგანი**“ და პოემას, „**საღმისი ჭოლოკი**“.

სახელგამის პრამიზა

სახელგამმა ამ დღეებში გამოაცხადა სამი პრემია საუკეთესო ნაწარმოებზე. უნდა დაიწეროს ერთი რომანი, ერთი დრამა და ერთი დიდი პოემა. რომანი არ უნდა იყოს არც მოკლე და არც საშუალო, სათაური

— ამხანაგო „**კაპუეტო**“, შენ არაფერი გწამს რეალობის, მაგრამ მე რა დავაშავე, მე ხომ საზრდო მინდა — უსაყვედურა კუქმა.

ამან ჩააფიქრა „**კაპუეტი**“, დაუბრუნდა ერთი წუთით მიწიერ ცხოვრებას, მაგრამ არა, არ მინდა:—ეს ხომ ჩემი პოეტური ზეციური, ღვთისური მუშის დღაა, ოხ, კუქო სადაგელო, რატომ შენც არა გაქვს ჩემსავით მუშა, რატომ შენც არ წერლექსებს, — იბრძოდა კაპუეტი, კუქი კი თავისას ითხოვდა.

— ოჰო, კარგი აზრი მომიცდა, განა შეიძლება ისე ლექსის წერა, რომ ცხოვრებასთან არ მივიღე ახლოს, მუშებს რომ არ დაუხალღოვდე წარმოსთქვა მან და დასწერა ლექსი. რომელიც ასე იწყებოდა:

— მე მუშას ვუმღერ დღეიდან ძამო,
მუშის ბრძოლის ხელს და ხელთათმანსა,
ღმერთო, დღეიდან შენც ჩემსკენ წამო
და გლეხი მოგცემს სიმინდს ბათმანსა;
ავაყირავებ დაბრკა - ქარხნებს,
მაღლა დავკიდებ ზავის მთვარეში
პოეტი გიჟი მუშის ზმანებით,
ციურ ოცნებით ივლის არგში.

რედაქტორმა გულდასმით წაიკითხა ეს ლექსი. „ამხანაგო კაპუეტ, თქვენ ვერ გაგიგიათ ჩვენი მშენებლობა. არ ხართ ახლოს ყოფა-ცხოვრებასთან“ — უთხრა ისევ რედაქტორმა.

— აი ფილისტერი!... რედაქტორის სკამზე დასკუბულა და წარმოდგენაც არა აქვს მხატვრულ შემოქმედებაზე! — წარმოსთქვა გაპუეტმა და ისევ სასაფლაოსკენ გაემშურა. „მუშის“ მოსაყვანად.

ივანიკა.

ჩვენი კომპოზიტორები

თუ მიმდინარე წელში ჩვენმა მწერლებმა გამოიჩინეს სინოყიერება თავიანთი ნაწარმოებებით ვაამდირეს ჩვენი ღარიბი ლიტერატურა, მათ არც ჩვენი ახალგაზრდა მუსიკოს — კომპოზიტორები ჩამორჩენ: ახალგაზრდა, ნორჩი კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე გუშინ დილით შეუდგა ახალი ოპერის წერას. ოპერას სახელად დაარქვა „**ღამისი დამალევი**“. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ახალგაზრდა კომპოზიტორი თავის ოპერას დაასრულებს სულ მოკლე დროში. ასე, რომ პირველი სანიმუშო წარმოდგენა გაიმართება არა უგვიანეს 1972 წლისა. არც ახალგაზრდა პონერა - კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი ჩამორჩა ბალანჩივაძეს. როგორც ვადა მოგვცემენ, მას დაუწერია შესანიშნავი ოპერა — ამოცანა „**ზოგან წითელ; ზოგან ყვითელ**“...

დაბარუნებული პოეტი

გუშინ დილით „**ძველი კოლხეთი**“—დან საპაეო გზით ტფილისში მოფრინდა ქართველი დამსახურებული, მცხოვანი პოეტი **ტიციან ტაბიძე**. ერთი თვეა რაც ის „**ძველ კოლხეთს**“ ესტუმრა და თავდადებით მუშაობს. მიუხედავად მტნამეტი მუშაობისაგან, დაღსალობისა, პოეტი მაინც კარგად გამოიყურება; „**კოლხეთიდან**“ აფრენისას პოეტს დაუწყია კინო - რომანის


უნდა იყოს სხარტული, არა უმეტეს ხუთი სტრიქონისა. აუცილებელი პირობაა რომანი არ იყოს გაშლილი სიყვარულის ფონზე და ამ ნიადაგზე არ მოხდეს ხანჯლების ტრიალი. დრამა აუცილებლად უნდა იყოს 25 მოქმედებანი, არც მეტი არც ნაკლები. მეოცდაოთხე მოქმედებაში ავტორმა ყოველ მიზეზს გარეშე ყველა მომქმედი პირი უნდა დახოცოს, მაგრამ იმ პირობით, რომ უკანასკნელი მოქმედება მაინც უნდა გაგრძელდეს. თუ რა ხერხით შეიძლება ასეთი დრამის დაწერა, ამის გაგება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ დიდი დრამის შემთხველ ცნობილ დრამატურგ პართენ გოთლასთან. პოემა უნდა იყოს არც მოკლე და არც გრძელი და დაწერილი უნდა იყოს განსვენებული დიდი პოეტის პავლე აკობას სტილით.

ჰა.

პოეტი დეკლამატორი



რეპეტიცია, — კარგად იცოან!



როცა გამოდის სცენაზე, —
სიტყვა არ მოსდის ენაზე.



გაიბერა, როგორც შინა,
და მუშტებით დაიშინა.



ლექსის კითხვით დააძინა...
დარბაზს სძინავს, როგორც შინა.

უეპოლაეუა მთაწმინლაზე

ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი
მალე გაჩდება ტფილისის მზე და დამამშვენი.
შენნი ადგილნი ვერანანი და უდაბურნი
ბალად აქციეს; ასკრეს სენი ველურ-ტყიურნი.

ფუნიკუღერი აინთება ოდეს სადამოს,
ყოველი იქით მიისწრაფვის, რომ გულის აამოს.
იდუმალეუბა მიატოვებს შენს არე-მერეს
და ეკლესიას მიაშურებს სერზე მდგომარეს.

ბალში რადიო ორატორობს მსოფლიო ამბებს:
როგრ ანგრევენ მშრამელები მონობის დამგებს.
ძირს გაშლილს ლამაზს ქალაქს ჰფენენ შუქს ელმუშები
(რას არ შექმნიან დალოცვილი ჩვენი მუშები!).

მთაო ცხოველო, ხარ მცინარი, ხალისიანი,
ვინ გიხილოს; რომელ მყისვე გახდეს მზიანი.
ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი
გახდა ტფილისის აგარაკი და დამამშვენი.

ბიუროკრატია და საზოგადოება

— ისილორ ივანეს-ძევე, ინებეთ ახალი გაზეთი.

— რაო? რა სწორია ახალი? — შევკითხა მართველი საქმეთა - მართველს.

— ახალი ის რომ... როგორ მოგახსენოთ, ისილორ ივანის... აი „ტყეპეტრესტი“-ს გამგეზე სწორია რაღაც...

— ესე იგი ჩემზე? — არა ისილორ ივანის, ტრესტზე-მეთქი! — გამოასწორა შეცდომა საქმეთა - მართველმა.

— ეს ხომ ერთი და იგივეა?! ტრესტი ეს მე ვარ.

— მართალს ბრძანებთ. დაემოწმა საქ.-მართველი.

— და მე ვარ გაწერილი?

— როგორ გეკადრებათ ისილორ ივანეს-ძევე... მაგრამ... აი, ინებეთ გაზეთი! — რამოდენიმე წუთის შემდეგ მართველმა გაზეთი ნაკუწებით აქცია.

— ახალი გაზეთი, ისილორ ივანეს-ძევე!

— რა ამბავია ჩვენს თავს! ისევე გაგეწერეს?

— დიახ ისილორ ივანის!

— მერე და რაღა შენ უნდა წააწყდე მაინცდამაინც ამ ოხერს?! — მე, ისე, ისილორ ივანის... ვნახე და გული მეტკინა, რომ ასე უდიერათ იყო მოხსენებული ჩვენი კაცთ მოყვარე მართვე... ჰო... ჩვენი „ტყეპეტრესტი“...

— ბრაზით გახელბულმა მართველმა, გაზეთი მაშინვე განადგურა.

— ისილორ ივანეს-ძევე...

— კიდევ ახალი გაზეთი?

— არა ისილორ ივანეს-ძევე!

— მაშ რა ამბავია?

— ახალი „ტარტაროზი“.

— ეს ხომ უარესია!

— დიახ რა თქმა უნდა.

— მერე-და, ამის ღირსი ვარ მე?;

— არა ხართ, ისილორ ივანეს-ძევე!

— განა მე ბიუროკრატია ვარ?

— როგორ გეკადრებათ. ბიუროკრატის დამახასიათებელი თვისება სათვალეებია, თქვენ კი სათვალეებს თავის დღეში არ ატარებთ!

— მე პროტექცია გამიწევია როდისმე?

— ვინ მოგახსენათ, ისილორ ივანის. თქვენ მხოლოდ და მხოლოდ თბილისის პატრონი ბრძანდებით!

— გაათვრებულმა მართველმა „ტარტაროზი“ კალათში ჩაუძახა.

— ისილორ ივანეს-ძევე, ახალ... — გაეთრიე კარში ამ წუთში; არ განახო ჩემს კაბინეტში. რაში მეკითხება მე ახალი გაზეთი? სრულებით არა ვარ დაინტერესებული ვიღაც მჯობენებზე. მე ვარ მართველი და მახარია ტრესტი; ჩემი მოვალეობაა, გამოვიჩინო სპილოს სიღინჯე, და ფინიების ყუფას ყურადღება არ მივაპყრო. სწორონ, ჩხრიკონ და შემდეგ თვითონვე იკითხონ. „ვის რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“, სწორეთ ენა გრძელია ეს საქ.-მართველი. მისი ტრესტიდან მოხსნა აუცილებელია.

ბახჩო.

დრამატურბთა კავშირში

კარგა ხანია ისეთი საქმიანი და მშვიდობიანი კრება არ მინახავს. ხელოვნების სასახლის სამკითხველს დარბაზი და გრძელ მაგიდის გარშემოშხადარი დრამატურგნი. ნაზი, ტკბილი, დაბალი ხმით ლაპარაკი. ისეთი სიჩუმე სუფევდა, რომ რწყილის გაფრენას გაიგონებდა კაცი.

მოხსენება გააკეთა ცნობილმა დრამატურგმა პოლიკარზე კაკაბაძემ. მან წარმოადგინა პროექტი: „უებარი საშუალება დრამა - კომედიების წერისა“. ეს სახელმძღვანელო თვით კაკაბაძეს შეუდგენია. ის იყო კაკაბაძე შეუდგა თავის პროექტის დაწვრილებით განხილვას, რომ უცბათ მოისმა სირინოზის ხმა. ყველამ ყურები ცქციტა. კაკაბაძე შეჩერდა. სირინოზის ხმა აღმოჩნდა ბაზო ხერხეულიძეზე. დიდხანს ილაპარაკა, თუმცა თავმჯდომარეს სიტყვის ნება არ მიუცია, მაგრამ ის მაინც თავისას განაგრძობდა. მოჰყვა ცის, ბარის, ამ მთის ის მთის და ბოლოს კაკაბაძე იძულებული შეიქნა ეთხოვნა მისთვის მიეცა ნება სიტყვის დათვების. ბაბომ როგორც იქნა დაათვა სიტყვა და დასასრულ სახოვა კრებას მიელო მისი ძველად დაწვრილი ოთხი დრამა. კრება დიდის სიამოვნებით დასთანხმდა.

ის იყო კაკაბაძემ პირი გაალო და ლაპარაკი უნდა დაეწყო, რომ მაგიდის მეორე ბოლოდან მოისმა წვრილი ხმა.

კაკაბაძე შეკრთა და სიტყვა გაუწყდა. დრამატურგი ი. მჭედლიშვილი ზეზე წამოდგა, გაიღიმა, თავი განზე დახარა და ნაზი ხმით შელაღადა კრებას:

— ამხანაგებო! მე ვიყავი მწყემსად. საინტერესოა ცხვრების ცხოვრება. მაგეგონებათ ყოჩი, ჭედლია, დედალი ცხვარი. მათ აღამიანებზე ნაკლებ არ იციან რომანიული განცდა. მათ შორის ამ ნიადაგზე ხშირად ხდება დრამა-ტრაგედიები. დავსწერე ცხვრების ცხოვრებიდან დიდი დრამა და გთხოვთ მიილოთ.

მჭედლიშვილი დაჯდა და კრებამ სიამოვნებით მიილო მისი წინადადება. კაკაბაძის მოხსენების შემდეგ

კრებამ დაადგინა: „აირჩიოს ბიურო, მიილოს მჭედლიშვილის და ხერხეულიძის დრამები და გაგზავნოს უკრაინაში რამდენიმე ქართული ორიგინალური პიესა გადასათარგმნად“.

ის იყო კრება დაიშალა, რომ უცბად მოისმა მჭედლიშვილის ვედრება. ყველა სმენად გარდაიქცა. მჭედლიშვილი წამოდგა, გულზე ხელები დაიწყო, თვლები ზეცისაკენ აღაპყრო და გულამოსკენით შევედრა კრებას: „ამხანაგებო! გევედრებით, გემუდარებით, თუ უკრაინელებს პიესა გაუგზავნოთ, პირველად პოლიკარზე კაკაბაძის პიესა გაგზავნეთ. სთქვა ეს და ორი ობოლი ცრემლი ჩამოაგდო თვალებიდან.“

კრებამ ოვაცია გაუმართა მჭედლიშვილს.

—ქა!


მზადდება და 18 მაისს გამოვა

„ტარტაროზი“-ს სპეციალური

გ ა თ ო მ ი ს

ნომერი, თანამუროგაღებს ვსთხოვთ მოგვაწოდონ მასალები

კოზლოვსკი



რად მიხდა უვილი, რად მიხდა ქმარი, —
„ჩემი“ კოზლოვსკი როცა ამ აჩი.

გოღოღი

№ 2-ს (სოფ. მამათი, გურია). კარგი მწიგნობარი
ოლიათ თბობს:

ვინ არ იცნობს კილაძეებს
ძმებს ერმილეს და ივანეს!
ობლის დეკნა მოეწონათ,
და ქურდულად წაიყვანეს!

სამაგიეროდ, ოფიციალურად დააბრუნებინებენ უკან

გამწკვიპლავიქის (საჩხერე). თუ სოფლის საბჭოს

თავმჯდომარე:

ბარბაციო მოდის მთვრალი

მაჭარაშვილი ვანო.

ბუტბუტებს: — აღარ ვიცი.

საქმე ვით დავაწყნარო, — უნდა შევიდეს მის
ადგომარეობაში სამაზრო აღმასკომი და გაანთავისუფ-
ლოს მძიმე მოვალეობისაგან; თორემ კაცმა სამი საქმე:
თრობა, სროლა და საბჭოს თავმჯდომარეობა, — ერთად
როგორ გააკეთოს? საჭიროა მისი განტვირთვა აღმასკო-
მისაგან და აღმასკომის განტვირთვა — მისგან.

მიხელს (გრაკალი): მოკლეთ თქვენი წერილის ში-
ნაარსი ასეთია:

„მცხეთაში, როცა მათარებელი გაჩერდა, ჩვენი რო-
ნოდა პირდაპირ სასადილო „პურ-მარილის“ პირდაპირ
დადგა. გადვიყვანე ამხანაგი და გადავკარით არაყი... რო-
ცა გამოვდით, მიმავალ მათარებლის უკანასკნელ ვაგონს
მოვკარით თვალში... თურმე ეხლა წასვლისას მათარებლის
ორთქლმავალი აღარ ჰყვირის“.

და განა ეს ცუდია?! არაყის სმას გადაგაჩვევს... ლო-
თობა ნაკლები იქნება.

„ს. ჯ“-ს (ბათომი). რომ არ შეგრცხვეთ, ინიციალე-
ბით გიპასუხებთ, რომ თქვენი ლექსი „მსოფლიო მტარ-
ვალებს“ გადავგზავნეთ ჩვენი გოდორის საშუალებით მი-
სამართის და მიხედვით. ხოლო დავიტოვეთ ის თქვენი:

თქვენთვის მღერიან
და ირხევიან
ლამაზი არსნი — ბანოვანები.
ხან ადგებიან,
ხან დაწვებიან
ფეხს გიკოცნიან, ვითა მონები.

სასწრაფო ფოსტით გადავგზავნეთ; ასე, რომ ეხლა
მიღებული იქნებათ.

თ. სოფელიაშვილს. პეტრე ლიბიშვილის შესა-
ხებ, სწერთ:

„ერთ მშვენიერ დღეს, პეტრესათვის კი, „რასაკვი-
რველია“, უბედურ დღეს... რასაკვირველია, თქვენი
„რასაკვირველია“ არ დაიბეჭდება“.

ჩამბოს. დღეს მივიღეთ თქვენი მეორე წერილი,
რომელშიაც გვატყობინებთ, რომ არ გაუშვით თქვენი
პირველი წერილი, რადგან როგორც ეხლა გაიგეთ, ამბა-
ვი არ შეეფერება სინამდვილეს.

ჩვენ შინაგანად არ ვებმადვლით თქვენს პირველ წე-
რილს, რადგან ეტყობოდა, რომ ის არ იყო სინამდვილე.
ასე, რომ ტყუილად შეგეწუხებოდათ თავი მეორე წერილის
გამოგზავნით.



„ვერ გაექცევის მუშკორსა ჭაბუკი მოყმე მცხოვანი,
მისმა მხილებამ განგიმროს სუსტი და ძალგულოვანი“.
ასე მოსთქმოდის, თიროდის, მავნებულების სრევანი,
ჯობს მამა-პაპურ სატევარს კალამი ბასრ-წვეროვანი.